სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/73

ქ. თბილისი

29 ივნისი 2020 წ.

სწავლების დეპარტამენტის უფროსის, ასოცირებული პროფესორის თამარ წერეთლის და სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ გიორგი აბრამიშვილის სამსახურებრივი ბარათი „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში შუალედური შეფასების ორი მინიმალური დადებითი შეფასების (**შუასემესტრული გამოცდა, მიმდინარე აქტივობა**) ნაცვლად, **შუალედური შეფასებების ერთიანი მინიმალური ჯამური დადებითი შეფასების** გამოყენების შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 21-ე მუხლის, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების მე-2 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის განმავლობაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში შუალედური შეფასების ორი მინიმალური დადებითი შეფასების (შუასემესტრული გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასება – 7,5 ქულა, მიმდინარე აქტივობის მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება – 15 ქულა) ნაცვლად, გამოყენებულ იქნეს შუალედური შეფასებების მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება – 22,5 ქულა; ასევე, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში (არსებობისას) სასწავლო კურსებში შუალედური შეფასების ორი მინიმალური დადებითი შეფასების (შუასემესტრული გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასება – 15 ქულა, მიმდინარე აქტივობის მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება – 15 ქულა) ნაცვლად გამოყენებულ იქნეს შუალედური შეფასებების მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება – 30 ქულა.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**